რა კავშირი აქვს გიორგი ყიფშიძეს პოლიციასთან...

„ეს ჩემთვის ახალი ხილია...“

ტელეკომპანია, რომელიც დღის სინათლეს იანვრიდან იხილავს, მაუწყებლობის დაწყებისთანავე რამდენიმე ახალ ქართულ სერიალს გვპირდება. ერთ-ერთ მათგანს, რომლის პირობითი სათაურია „უცხო ქალაქი“ და, სავარაუდოდ, 13-14 სერიად არის დაგეგმილი, რეჟისორები — ზაზა ურუშაძე და ერეკლე ბადურაშვილი შემოგვთავაზებენ. სცენარი დაწერეს ნუგზარ შატაიძემ და კოტე ჯანდიერმა. თითოეულ სერიას დასრულებული სიუჟეტი ექნება, მაგრამ ამავე დროს თოთხმეტივეს საერთო ხაზი გააერთიანებს და თუ მხედველობაში მივიღებთ მის შინაარსს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „უცხო ქალაქი“ პირველი ქართული კრიმინალური სერიალია. რუსეთში სერიალების ეს ჟანრი საკმაოდ პოპულარულია. ორ მათგანში — „დრონგო“ და „მყინვარული ხანა“ ჩვენი ზურაბ ყიფშიძეც თამაშობს, რომელსაც, სხვათა შორის, რუსეთშიც არანაკლები თაყვანისმცემელი ჰყავს, ვიდრე საქართველოში, მაგრამ იქაურმა ტელერეჟისორებმა ზურას შესაძლებლობა სრულად ვერ შეაფასეს, კავკასიური წარმოშობის დამნაშავის კლიშე მიაკრეს და ამიტომ ქართველ მსახიობს უაღრესად საინტერესო, მაგრამ მაინც ერთგვაროვანი ტიპაჟების განსახიერება მოუხდა.

მალე, მამის რუსული ტელეიმიჯის საპირისპიროდ, გიორგი ყიფშიძე პირველ ქართულ კრიმინალურ ტელესერიალში პოლიციელს ითამაშებს. ზურას სერიალში მონაწილეობა ძირითადად მხოლოდ თავისუფალი დროის საინტერესოდ შესავსებად და ფინანსური მხარის გასაუმჯობესებლად იყო განპირობებული. რაც შეეხება გიორგის, „უცხო ქალაქი“ მისთვის შეიძლება ტელევარსკვლავობის გზის დასაწყისად იქცეს, თუმცა თვითონ უმცროსი ყიფშიძე ასეთ პოპულარობას არაფრად დაგიდევთ და სურს ხალხს თავი თეატრალური როლებით შეაყვაროს.

— გიორგი, კინომსახიობთა თეატრი, რომელშიც თქვენ მოღვაწეობთ, დროებით დახურულია რემონტის გამო...

— როგორც გიორგი მარგველაშვილი შეგვპირდა, სარემონტო სამუშაოები იანვრის ბოლოს დასრულდება და თებერვლის დასაწყისში უკვე სეზონს გავხსნით. თეატრის რეპერტუარის სამ სპექტაკლში მე ვმონაწილეობ — ეპიზოდი მაქვს „ანა კარენინაში“, ივანიკას ვთამაშობ დადგმაში — „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ და მერკუციოს — „რომეო და ჯულიეტაში“.

— და სწორედ ამ თავისუფალ დროს მიგიწვიეს პირველ ქართულ კრიმინალურ სერიალში...

— ერეკლემ და ზაზამ სინჯებისთვის უამრავი ფოტო გადამიღეს. თურმე რომელიღაც ეპიზოდისთვის დამიძახეს, მაგრამ ჩვენი შეხვედრის შემდეგ ერთ-ერთი მთავარი — პოლიციელის როლი მომცეს.

— ოღონდ საკმაოდ არასტანდარტული პოლიციელის...

— ჩემს პერსონაჟს სტაჟირება ამერიკის შეერთებულ შტატებში აქვს გავლილი და ვერ ეგუება ჩვენში გამეფებულ უზნეო პოლიციურ რეჟიმს...

— თქვენს პერსონაჟს პროტოტიპი თუ ჰყავს?

— არა... არავის თამაშს არ ვაპირებ — მე განვასახიერებ მხოლოდ საკუთარ თავს მოცემულ პირობებში.

— თვითონ როგორი დამოკიდებულება გაქვთ პოლიციელებთან?

— ქართველებთან — საკმაოდ ცუდი... საერთოდ, მგონია, რომ ჩვენში ყველაფერს უკუღმა იგებენ... საზღვარგარეთ პოლიციელები ეჭვის თვალით არავის უყურებენ, იქ ყველა დამნაშავე არაა, თუ რაღაც შემთხვევა მოხდა, პოლიციელი ვალდებულია, ამა თუ იმ ეჭვმიტანილ მოქალაქეს დანაშაული დაუმტკიცოს. აქ კი პოლიციელის გარდა, ყველა დამნაშავეა, მათ ხელში ჩემი მტერი ჩავარდა, როგორც უსულო საგანს, ისე ექცევიან ადამიანებს...

— სერიალებს თუ უყურებთ ხოლმე?

— მარიანებს და მარიებს — არა... უფრო სხვა სახის სერიალებს ვუყურებ — მაგალითად „კოლომბოს“, „დამსხვრეული ფარნების ქუჩას“... ბრაზილიური, ვენესუელური, მექსიკური სერიალები გემოვნების დასაკნინებლად არის გამოგონილი, ზემოთ ჩამოთვლილი სერიალების მსგავსი ფილმები კი გასართობად და დასასვენებლად...

— ზურამ ცოტა ხნის წინ რუსულ სერიალებში ითამაშა...

— ის, ჩემგან განსხვავებით, დამნაშავეს განასახიერებდა...

— როგორ მოგეწონათ მამის ახალი ამპლუა?

— ძალიან მომეწონა, თუმცა ერთადერთი, რასაც ვერ ვეგუები, ეს არის ხმა... სხვამ გაახმოვანა მისი პერსონაჟები, არადა, პროფესიულ წრეებში ზურა გახმოვანების დიდოსტატად არის აღიარებული. ამით ფილმმა ბევრი წააგო...

— თქვენ კი შეიძლება სერიალის მერე ტელევარსკვლავად მოგვევლინოთ...

— არა, ასეთი ვარსკვლავობა არაფრად მჭირდება, მე მხოლოდ სცენური როლებით მინდა სახელის მოხვეჭა... უბრალოდ, რადგან ჩვენში კინოს ნაკლებად იღებენ, დავინტერესდი კამერასთან მუშაობით, ეს ჩემთვის ახალი ხილია... თუ ნამდვილი პროფესიონალი ხარ, იაფფასიან ხერხებს არ უნდა მიმართო, მე ასე მგონია... შეიძლება დღეს სერიალით გახდე პოპულარული და ხვალ აღარავის ახსოვდე...

— როგორც ვიცი, ლევან ზაქარეიშვილიც გიღებდა ფილმში...

— ეს იყო ხუთი წლის წინ. შემდეგ ფილმი უსახსრობის გამო გაჩერდა. ლევანმა წელს ამ ფილმის გადაღება თავიდან დაიწყო. მე ამ ხუთი წლის განმავლობაში გავიზარდე, შევიცვალე... ამიტომ, სხვა აიყვანა ჩემ მაგივრად...

— „უცხო ქალაქის“ სცენარი თუ გაქვთ წაკითხული?

— სულ ექვსი სერიაა დაწერილი და ექვსივე წავიკითხე...

— შთაბეჭდილება?

— ძალიან საინტერესო სიუჟეტია, მაგრამ ავტორებს ბევრ რამეში არ ვეთანხმები... არ ვიცი, გაგრძელება როგორი იქნება, ღმერთმა ქნას, კარგი გამოვიდეს...

ეკა მახარაშვილი

„ბედნიერ დღეებს გისურვებთ თქვენი ნაცნობი „უცნობი“

*2002 წელიც მიიწურა. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ბევრი აკლია სრულყოფილებამდე, ქართული შოუბიზნესის სამყაროც მიქრის და მიქრის „უცნობის“ ვაგონიც, რომელმაც თითქმის ყველა ერთად აგვაცეკვა ამ წლის დასაწყისში. „უცნობი“, **გია გაჩეჩილაძე** სულ ახლახან ჩვენმა მკითხველმა საქართველოში ყველაზე საყვარელი გიორგის სამეულში დაასახელა.*

— გია, ეს წელი ორიგინალურად დაიწყე „უცნაურ გრძნობაშემორეულმა“, ყველა გაგვამხიარულე, მაგრამ დღემდე გაურკვევლად რჩება, სად მიქრის ვაგონი?

— ვაგონი სად მიქრის? კითხვა კვლავ კითხვად რჩება. თუ ცხოვრების ვაგონს ვიგულისხმებთ, 2002 წლის ვაგონმა კარგად ჩაიარა. რაც მსურდა, თითქმის ყველაფერი ავისრულე. ამ წელში გადავიღე ხუთი კლიპი. საახალწლოდ საგანგებოდ კლიპს და სიმღერას არა, მაგრამ ეკა კახიანთან ერთად ჩაწერილ სიმღერას შემოგთავაზებთ.

— „რუსული ვაგონი“ სად გაიჩხირა? ისე პომპეზურად დაიწყო ამ თემაზე საუბარი წლის დასაწყისში...

— რუსეთთან გართულებული თუ რუსების მიერ გართულებული ურთიერთობების, პოლიტიკის გამო აზრი აღარ ჰქონდა ამის გაკეთებას. ეს საქმე კიდეც რომ გამოსულიყო, მე თვითონ ჩავშლიდი, ისეთი გაბრაზებული ვიყავი, რუსებმა საქართველო რომ დაბომბეს. „რუსული ვაგონის“ პროექტი მზადაა, მაგრამ სანამ რუსულ-ქართული ურთიერთობები ისე არ მოგვარდება, როგორც საჭიროა, „რუსულ ვაგონს“ ვერ გავაქროლებ.

— მახსოვს, ისე იყავი გაბრაზებული რუსების საქციელის გამო, ავტომატის ხელში აღებას და მიკროფონის გვერდზე გადადებასაც კი აპირებსო.

— გაბრაზებული ვიყავი კი არა, პუტინის ავანტიურისტული განცხადებების გამო ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდი. ურთიერთობები რომ არ დალაგებულიყო და ბუშის გადამწყვეტი სიტყვა არ თქმულიყო, არ ვიცი, რას ვიზამდი.

— გია, რას დავაბრალო შენი ასეთი პოლიტიზირება? ძმის გავლენას თუ შესაძლოა შენც პოლიტიკაში გიხილოთ?

— არა, არა, რას ამბობ. მე თავისუფალი ადამიანი ვარ, პოლიტიკაში კი, რადგან პასუხისმგებლობას იღებ, დაქირავებულივით ხდები. მე ასე ყოფნა არ შემიძლია. ჩემს ძმას კარგად ესმის პოლიტიკა და სულაც არ არის აუცილებელი, ოჯახში ორმა წევრმა ერთი და იგივე საქმე აკეთოს.

— პარლამენტში ბოლო დროს მოხშირებულ ცემა-ტყეპაზე რას იტყვი, ეს მართლა იმის ნიშანი ხომ არ არის, რომ ვაჟკაცურ თვისებებს ვკარგავთ?

— სამწუხაროა, რაც პარლამენტში ხდება. ეს ორგანო არის სარკე იმისა, რაც ქვეყანაში ხდება. ჩხუბით ვის არ უჩხუბია, მაგრამ კაცი თუ ხარ, არ შეგეშლება, ვისთვის, ან სად უნდა იჩხუბო. მეგობრისთვის, გოგოსთვის მიჩხუბია, მაგრამ კაცი მოსაკლავად არ გამიმეტებია.

— შესანიშნავი სიმღერა გამოგივიდა „მზეს ველოდები“. რამ შთაგაგონა, ძმას რომ ედექი პოლიტიკურ ბრძოლაში გვერდით თუ სხვა რამემ?

— არა, აქ ძმის ფაქტორი არაფერ შუაშია. გულწრფელად ვიმღერე იმაზე, რაც მართლა მტკივა. გულზე ხელის ბაგუნი და თბილისელობა არ მესმის, თუ შენი ქალაქის ტკივილი და პრობლემა არ გაღელვებს. მე ყველაფერს ვხედავ, მესმის, განვიცდი. ალბათ ამიტომ გამოვიდა ეს სიმღერა ასეთი, მართლა სულიდან წამოსული.

— გია, ახალი წლის დადგომას რატომღაც ყველა საგანგებოდ ველოდებით. თითქოს 31 დეკემბერს მთავრდება ყველა პრობლემა. შენ რა განწყობა გაქვს ამ დროს?

— ბავშვობიდან შემორჩენილი მოგონებები ცოცხლდება ამ დროს, თითქოს ისევ თოვლის ბაბუის მოლოდინში ვარ, მზეს და სითბოს, იმ ნათელს ველოდები, რომელმაც საქართველო უნდა გააბრწყინოს. თუ ეს არ მოხდა, ჩონგურის დაწყვეტილი სიმებივით ვიქნებით და მრავალჟამიერიც მხოლოდ ამ მიწაზე დაიწყება და დამთავრდება. ღმერთს ვერ მისწვდება ჩვენი ხმა.

— სად შეხვდები 2003 წელს?

— პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მთელი ოჯახი ერთად შევიკრიბებით მშობლებთან. მეკვლედ რომელიმე ბავშვი გვეყოლება. ბავშვობაში მეც ხშირად ვიყავი მეკვლე ახლობლების ოჯახებში და ყველა ამბობდა — გიას კარგი ფეხი აქვს, სადაც მეკვლედ მიდის, იმ ოჯახში ბედნიერება ისადგურებსო. რომ შემეძლოს, მთელი საქართველოს მეკვლე ვიქნებოდი.

— გია, შენი მანქანით ველარ გხედავ, მეორედ რომ მოგპარეს, მას შემდეგ, მგონი დაიბრუნე.

— დავიბრუნე, არ ვიცი, ვინ იპარავდა, არც დაბრუნებაში ჩავრეულვარ, თავისით დამიბრუნეს, მაგრამ ველარ დავჯექი იმ მანქანაზე და ჩემს მეგობარს გადავულოცე. ახლა ჩემი მეუღლის მანქანით დავდივარ, „წავართვი“. აი, ასეთია ცხოვრება, სხვამ მე წამართვა, მე ცოლს „წავართვი“ და ვაგონი მიქრის... ბედნიერ დღეებს გისურვებთ თქვენი ნაცნობი „უცნობი“.

ეკა ლომიძე

ქართული და უცხოური
ჟურნალ-გაზეთების
გამოწერა
თბილისის მაცხოვრებლებისთვის
და ორგანიზაციებისთვის
ტელ: 33-26-73
სახლიდან
გაუსვლელად